ქართველ სტუდენტთა წინარწმენა სომხებისა და აზერბაიჯანელების მიმართ საფრთხის მანიპულაციითა და მის გარეშე: მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის კონტექსტში

თორნიკე ჯანდიერი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოთხოვნის მინიჭების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა მაყაშვილი

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თორნიკე ჯანდიერი

17 ივნისი 2021

აბსტრაქტი

წინარწმენა გასული საუკუნიდან დღემდე საკმაოდ აქტუალური საკვლევი საკითხია სოციალური ფსიქოლოგიის სამყაროში. ის მრავალ განზომილებას მოიცავს და მასთან მრავალი ცვლადია ასოცირებული, რომლებიც ერთმანეთთან კორელირებენ. წინარწმენის კვლევებში ნაპოვნია მისი გამოხატვის როგორც აშკარა, ისე დაფარული ფორმები. კვლევების ისტორიის მანძილზე შემუშავდა მრავალი კითხვარი და საზომი, რომელიც წინარწმენების ფარულ ან აშკარა გამოვლინებას ზომავს, ერთ-ერთი მათგანი კი ბოგარდუსის სოციალური დისტანციის სკალაა, რომელიც აღნიშნულ კვლევაში გამოვიყენე ქართველი სტუდენტების დაუფარავი წინარწმენების გასაზომად ეთნიკური უმცირესობების, კერძოდ, სომხებისა და აზერბაიჯანელების მიმართ. კვლევის მიზანი იმის გარკვევა იყო, იწვევს თუ არა რეალისტური საფრთხის განცდა, მათ შორის, შეზღუდული რესურსებისთვის მეტოქეობა ქართველ ახალგაზრდებში წინარწმენებს, რისთვისაც ექსპერიმენტული დიზაინი იქნა გამოყენებული. აღნიშნულ კვლევაში ეთნიკურად ქართველი 100 სტუდენტის სოციალური დისტანცია გაიზომა. ნავარაუდევი იყო, რომ აღქმული რეალისტური საფრთხე გაამწვავებდა წინარწმენას – სხვა სიტყვებით, გაზრდიდა სოციალურ დისტანციას – ეთნიკური უმცირესობების მიმართ. შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ რეალისტური საფრთხის აღქმა და მისი შეზღუდული რესურსებისთვის მეტოქეობის კომპონენტი მართლაც ზრდის სოციალურ დისტანციას სომხებისა და აზერბაიჯანელებისადმი, რაც მათ მიმართ მომავალში წინარწმენებისა და დისკრიმინაციის დაუფარავ, აშკარა გამოხატვაზე მიანიშნებს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: წინარწმენა, სოციალური დისტანცია, რეალისტური საფრთხე, ჯგუფთაშორისი საფრთხის თეორია.

Abstract

From the past century till this day, prejudice has always been a pressing research topic in social psychology. It contains various dimensions, and various intercorrelated variables are associated to it. In the history of prejudice research, authors have shown that prejudice can be manifested in both, blatant and aversive or hidden forms. Scientists have developed various measures to assess the level or the form of prejudice one is likely to express, one of them being Bogardus' Social Distance Scale, which was used in the current study to measure the level of prejudice of Georgian students toward ethnic minorities of Armenians and Azerbaijanian people. Using experimental design, the study aimed at determining whether perceived realistic threat, including competition over scarce resources, trigger prejudice toward the ethic minorities among Georgian students. 100 volunteers, all of them ethically Georgian students, have participated in the experiment. It was expected that perceived realistic threat with its component of competition over scarce resources would trigger prejudice – or, in other words, increase the social distance – toward Armenians and Azerbaijanians. Indeed, results revealed that perceived realistic threat increases social distance toward minority groups, which might suggest blatant, explicit forms of prejudice toward them in the future.

Keywords: Prejudice, Social Distance, Realistic Threat, Intergroup Threat Theory.